2-15681/19
12-09-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს N261/3, 27.05.2019 გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს განსახილველად გადმოეცა საქართველოს პარლამენტის წევრების: სოფიო კილაძის, რატი იონათამიშვილის, ცოტნე ზურაბიანის, ვანო ზარდიაშვილის, ირაკლი ბერაიასა და ანრი ოხანაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/353; 22.05.2019).

აღნიშნული პაკეტი სავალდებულო დასკვნისთვის გადაეცა აგრეთვე იურიდიულ საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებს. მათ მიერ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა განსაზღვრულია 2019 წლის 18 სექტემბრამდე.

ვინაიდან მითითებულ ვადაში საკითხის განხილვა ვერ ხერხდება, მოგმართავთ შუამდგომლობით დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის **3 (სამი) კვირით** გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
სოფიო კილაძე